ხაშურის მოამბე

№25 (276) 5 ოქტომბერი, ორშაბათი, 2020 წელი

- კორონავირუსი -

დავით ჩიქოვანი: ხაშურში „კოვიდ-19“-ის სამი დადასტურებული შემთხვევა გვაქვს

თითქმის 8 თვეა მთელი მსოფლიო გლობალურ გამოწვევას ებრძვის – ვირუსს, რომელიც „კორონას“ სახელით მოევლინა ჩვენს პლანეტას და უკვე მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, დაინფიცირებულები კი ათეულობით მილიონს ითვლის. ვირუსმა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს დაატყო ხელი და, შეიძლება ითქვას, ცხოვრების სრულიად განსხვავებულ „სტილს“ დაუდო სათავე. საქართველო პანდემიის პირველ ტალღას ღირსეულად გაუმკლავდა და გადამეტების გარეშე, მთავრობისა და მედიცინის მუშაკთა ერთობლივი მუშაობა მთელ მსოფლიოში სამაგალითო გახდა. სამწუხაროდ, აგვისტოს დასაწყისიდან, პანდემიამ ახალი ძალით იფეთქა და დღეისთვის საქართველოში უკვე ასულობით დადასტურებული შემთხვევა ფიქსირდება. ჩვენი მუნიციპალიტეტი მთელი რვა თვის განმავლობაში ე.წ. „მწვანე ზონად“ რჩებოდა, თუ არ ჩავთვლით ხიდისყურში დაფიქსირებულ (ზაფხულის პერიოდი) ერთადერთ შემთხვევას. თუმცა, სავალალოდ, სექტემბრის ბოლოს ვირუსმა უფრო მძლავრად შემოუტია ჩვენს მუნიციპალიტეტს. რა მდგომარეობაა დღეისათვის ამ მხრივ, ამ კითხვას ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურის დირექტორი **დავით ჩიქოვანი** პასუხობს:

– დღეისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტში ვირუსის სამი დადასტურებული შემთხვევაა. (ინტერვიუ 2 ოქტომბერსაა ჩაწერილი) – აქედან ერთი საზღვარგარეთის ისტორიის, ორი კი ე.წ. „კასპის კლასტერია“, კონკრეტული ლოკაცია კი ასეთია: მიწობი, ოსიაური, ხაშური,.

აღსანიშნავია, რომ სამივეს უსიმპტომო გამოვლინება ჰქონდა. საზღვარგარეთის ისტორიის მქონე უკვე გამოჯანმრთელდა და ორი კი ბინაზე არიან თვითიზოლაციაში და ადგილზე გადიან მკურნალობას. მათი კონტაქტები შესწავლილია – სულ 27 ადამიანი, ყველას ჩაუტარდა ტესტირება და, საბედნიეროდ, ყველა უარყოფითია. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, რომ ხაშურში მედიცინის მუშაკიც დაინფიცირდა, ჯერ-ჯერობით ვერ დავადასტურებ. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ აღნიშნულ პიროვნებას მგზავრობისას ჰქონდა შეხება ერთ-ერთ დაინფიცირებულთან.

ამჟამად იგი თვითიზოლაციაშია გადაყვანილი. სულ, ამ წუთისათვის, 15 ადამიანია თვითიზოლაციაში და მათზე მუდმივი კონტროლი ხორციელდება. ჩვენი სამსახური 24 საათიან რეჟიმში აგრძელებს მუშაობას. სექტემბერში 700-ზე მეტ პიროვნებას ჩაუტარდა ტესტირება და საბედნიეროდ, ყველა პასუხი უარყოფითი იყო.. ვაგრძელებთ ასევე მიზნობრივ ტესტირებას – დიალეზზე მყოფ პაციენტებს, სამედიცინო პერსონალს, პოლიციის და დაცვის პოლიციის მუშაკებს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოს და საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ბენეფიციარებს ორ კვირაში ერთხელ ვუტარებთ პისიარტესტებს. დასასრულს კი ვეტყვი მოსახლეობას, რომ საპანიკო არაფერია და თუ ყველა დავიცავთ იმ რეკომენდაციებს, რომელიც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის თუ ჩვენი მთავრობის მიერაა შემუშავებული, ჩვენ ამ ვირუსს აუცილებლად დავამარცხებთ,- აღნიშნა საუბრის ბოლოს ბატონმა დავითმა.

ხაშურის საბავშვო ბაღებში დასაქმებულმა ყველა თანამშრომელმა სექტემბრის თვეში მომატებული ანაზღაურება მიიღო

საბავშვო ბაღების თანამშრომლებისთვის სახელფასო ანაზღაურების გაზრდასთან დაკავშირებით განცხადება ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ საქართველოს მთავრობამ გააკეთა, რომლის თანახმადაც, საბავშვო ბაღებში დასაქმებულებისთვის სახელფასო ანაზღაურების მატება ახალი სასწავლო წლიდან იყო დაგეგმილი.

შესაბამისად, სექტემბრის თვიდან, ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულმა ყველა თანამშრომელმა გაზრდილი სახელფასო ანაზღაურება მიიღო.

- 5 ოქტომბერს მასწავლებელთა საერთაშორისო დღეა -

,,მასწავლებელი - კრიზისის მართვისა და მომავლის ხედვის ლიდერი“

ძვირფასო მასწავლებლებო, სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი განათლების მუშაკებო, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხაშურის რაიონული ორგანიზაციის სახელით გილოცავთ ახალი აკადემიური წლის დაწყებას და მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს.

სპმთპ-ს მიერ გაწეული მუშაობის არეალი ფართოა, ჩვენ ვზრუნავთ წევრთა შრომითი, სოციალ-ეკონომიკური, სამართლებრივი უფლებების დაცვისა და გონივრული, შინაარსიანი დასვენებისთვის. ჩვენი საერთო მიზანია, ორგანიზაციის გაძლიერება, განათლების თანამედროვე და მდგრადი სისტემის ჩამოყალიბება. ორგანიზაცია თანმიმდევრულად ზრუნავს პედაგოგთა პროფესიული განვითარებისთვის. დაუდალავი, მიზანმიმართული მუშაობის შედეგია, რომ მუნიციპალიტეტის სკოლებში გვყავს 11 მენტორი, მრავალი წამყვანი და უფროსი მასწავლებელი.

ორგანიზაციის მიზანია, საკანონმდებლო ინიციატივების/წინადადებების ადვოკატირება და ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, სოციალური დიალოგის და კოლექტიური მოლაპარაკების მექანიზმების გაძლიერება, მედია-კომუნიკაციების გააქტიურება და საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოება. ჩვენი წევრები, გამოცდილების გაზიარების მიზნით, ესწრებიან დანიელი კოლეგების მიერ ჩატარებულ ტრენინგებს, წარმატებული წევრები იმყოფებოდნენ დანიაში განათლების სიტემის გაცნობის მიზნით.

სპმთპ-ის ხაშურის რაიონული ორგანიზაცია ზრუნავს წევრთა პროფესიული განვითარების, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების, საგნობრივი და პროფესიული უნარების გასაუმჯობესებლად. ორგანიაზაცია მუშაობის წარმართვის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს ორგანული კანონით „შრომის კოდექსი“, საქართველოს კანონით „პროფესიული კავშირების შესახებ“ და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) N87-ე და N98-ე კონვენციებით.

ურთულეს და არაორდინალურ პირობებში გვიწევს მუშაობა. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა სტატუსშეწყვეტილი მასწავლებლების ბედი. მიუხედავად პრობლემებისა, ახალი სასწავლო წლის დაწყება ყოველთვის

დადებით ემოციებს იწვევს. მონატრებულ აღსაზრდელებთან შეხვედრით, თითოეული თქვენგანი გაძლიერებული ენერგიით იწყებთ მუშაობას.

ჩვენი მრავალრიცხოვანი ორგანიზაციის სახელით, გილოცავთ მასწავლებლის საერთაშორისო დღეს, გისურვებთ ნაკლები ბარიერები შეგხვედროდეთ, რათა თქვენი გამოცდილება, შრომისუნარიანობა, ენთუზიაზმი, სიყვარული მხოლოდ აღსაზრდელების წვრთნაში გამოგეყენებინოთ, მასწავლებელი ხომ კრიზისის მართვის და მომავლის ხედვის ლიდერია- რაც არაერთხელ დაადასტურეთ.

ინეზა ელისაშვილი,
სპმთპ ხაშურის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

ვისი გორის ხარ...

ლომიძეები

ჩვენი კოლეგა და დიდი ხნის მეგობარი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი და უბრალოდ, შესანიშნავი პიროვნება-ვალერიან ლომიძე წლებია ლომიძეების გვარის ისტორიაზე მუშაობს და ამ მიმართებით, საკმაოდ სქელტანიანი ნაშრომიც შექმნა. სამწუხაროდ, ჩვენი გაზეთის ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელია ნაშრომის სრული სახით ბეჭდვა, ამიტომ ვითვალისწინებთ, რა ჩვენს მუნიციპალიტეტში ლომიძეთა გვარის მრავალრიცხოვნობას, დღეს მკითხველს ამ ნაშრომის შემოკლებულ-ე.წ. საგაზეთო ვარიანტს ვთავაზობთ.

* * *

არ მეგულება ადამიანი, რომელიც თავის გვარით არ ამაყობდეს, სიყვარულით და პატივისცემით არ წარმოთქვამდეს წინაპართა დიდი რუდუნებით და დღემდე მოტანილ გვარს. სწორედ მათ დაგვანათლეს გვარისადმი და გვარიშვილობისადმი მოკრძალებული დამოკიდებულება.

სიამაყის გრძნობა გიათკეცდება, როცა ხედავ შენს გარშემო მრავალ სახელოვან, კეთილსინდისიერ, ღვაწლმოსილ და დაფასებულ გვარიშვილებს.

დღეს საქართველოში 13 500 ლომიძე ცხოვრობს და ქართულ გვარებს შორის მეშვიდეა.

საქართველოში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა სხვადასხვა გვარის წარმომადგენლების შეხვედრა. ეს შეხვედრები იმითაა საინტერესო, რომ სახლიკაცები მსჯელობენ გვარში არსებულ პრობლემებზე, ახალგაზრდებს შეახსენებენ გვარის სახელოვან ისტორიას, მოუწოდებენ გვარისა და ერის გამრავლებისაკენ, სამშობლოს ერთგულებისაკენ, ეხმარებიან გაჭირვებულ სახლიკაცებს, თანაუგრძნობენ ერთმანეთს სიხარულისა და მწუხარების დროს. იხსენებენ და პატივს მიაგებენ გარდაცვლილ მოგვარეებს და სხვა.

ამ მართლაც და მოსაწონ ტრადიციას, ჯერ კიდევ 1999 წელს მხარი დაუჭირეს ლომიძეებმა და მას შემდეგ, ყოველი წლის შემოდგომაზე იკრიბებიან ბორჯომში, ხაშურში, თბილისში, ხუნევში. სახლიკაცების შეხვედრა ყოველთვის შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელია. ახალგაზრდობისათვის მისაბაძია ისიც, რომ ამ შეხვედრებში გვარში გამორჩეულ, სამშობლოს წინაშე დამსახურებულ და ვალმოხდილ სახლიკაცებს ირჩევენ გვარის საპატიო წევრებად. თითოეული შეხვედრა გამსჭვალულია გვარის ტრადიციების, მისი გაფრთხილების და სახლიკაცების პატივისცემის მოპყრობის ნიშნით. საერთო ჯამში, ეს შეხვედრები სამშობლოს სიყვარულის და ერთგულების თვალნათელი გამოხატულებაა.

2006 წელს, დაფუძნდა და რეგისტრაციაში გატარდა “ლომიძეების საგვარეულო კავშირი” , დამფუძნებლებმა აირჩიეს დარბაზის წევრები, ბანკში გაიხსნა სპეციალური ანგარიში. წესდება ითვალისწინებს გვარის სასიკეთოდ მრავალმხრივ ღონისძიებებს(ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის სწავლის ქირის გადახდა, მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება, საქველმოქმედო საქმიანობა და სხვა), კავშირის წევრებს ევალებათ სიმბოლური საწვროს გადახდა, ხოლო ფირმები, ბიზნესმენები და იურიდიული პიები აფინანსებენ სხვადასხვა ღონისძიებებს. წესდება ითვალისწინებს ლომიძეების კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში სათემო საბჭოების ჩამოყალიბებას, რაც დაგვეხმარება კონკრეტულად შევისწავლოთ ადგილზე არსებული პრობლემები და ერთობლივი ძალებით გადავწყვიტოთ ისინი. ერთი სიტყვით, ლომიძეების საგვარეულო კავშირს მეტად ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი ღონისძიებების პროგრამა აქვს შემუშავებული

ლომიძეების გვარის წარმომადგენელთა სიამაყესა და დიდ სიხარულს იწვევს ის ფაქტი, რომ 2010 წლის 10 იანვარს, სამების საკათედრო ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II დალოცა ლომიძეების გვარი და აკურთხა საგვარეულო ხატი, რომელიც საზეიმოდ ხარაგაულის რაიონის სოფელ ხუნევის ეკლესიაში დავაბრძანეთ, 2010 წლის 6 მაისს იმ სოფელში, საიდანაც არიან ლომიძეების უმრავლესობა.

შემუშავებულია მრავალმხრივ საინტერესო ღონისძიებების გეგმა, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს გვარის კიდევ უფრო შეკავშირებასა და განმტკიცებას.

ბუნებრივად იბადება კითხვა, საიდან მოდის ლომიძეების გვარის ისტორია, რა გზა გაიარა გვარმა და როგორ მოვიდა ჩვენამდე, ამ და სხვა კითხვებზე, ისტორიული დოკუმენტების მოშველიებით გავცემთ პასუხს.

ლომი-ქართულ გვარ-სახელებში

ქართული გვარები მყარია. ბევრ გვარს გრძელი, ისტორიული გზა აქვს გავლილი. მათი უმრავლესობა მიღებულია წინაპრების საკუთარი სახელებისგან,“ძე” და “შვილი” დაბოლოების დართვით. ერთ-ერთი ასეთი წარმოშობისაა ლომიძეების გვარი(ძველი სახით ლომის-ძე), რომელიც იმაზე მიუთითებს, რომ საუკუნეების წინათ ცხოველთა სახელები ადამიანთა საკუთარ სახელადაც გამოიყენებოდა. განსაკუთრებით მთის მოსახლეობაში, ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი მამაკაცის სახელი ლომა, რაც ძველ წერილობით წყაროებშიც დასტურდება. სიტყვა “ლომს” საერთოდ ქართულ ონომისტიკაში(საკუთარ სახელთა ფონდში) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისგანაა ნაწარმოები ბევრი საკუთარი სახელი, რაც შემდეგ გვარებში აისახა (ლომიძე, ლომაძე, ლომიაშვილი, ლომიანიძე, ლომსაძე, ლომიტაშვილი და სხვა).

რის საფუძველზე უნდა ექცია ხალხს “ლომი” საკუთარ სახელად ან გვარად? აღნიშნული გვარის ფუძე არის ლომი, რომელიც ცხოველთა მეფედ არის აღიარებული. იგი ვაჟკაცობის, სიძლიერის, უშიშროების, ახოვანების, შეუპოვრობის, სისწრაფის, ღონის და მამაცობის სიმბოლოა, რაც მასთან ადამიანის შედარების საფუძველს იძლევა. ამ გვართან საერთო ფუძითაა დაკავშირებული ლომიძე, ლომისდარაშვილი, ლომგულაშვილი, ლომკაცი, ლომისგულა, ლომაია, ლომიტაშვილი, ლომაშვილი, ლომსაძე, ლომსიანიძე, ლომუაშვილი, ლომჯარია და სხვა.

ადამიანის ღრმად წარმოსახვის მეორე მიზეზად უძველესი რელიგიური მიზეზი უნდა დავასახელოთ, რომელიც წარმართული მსოფლმხედველობის შედეგია. ეს მაშინ იყო, როცა ადამიანის გონებას მრავალღმერთიანობასთან დაკავშირებული ე.წ. ტოტემიზმი იმორჩილებდა და ბუნების ძალები, მათთან ერთად ცხოველებიც თაყვანისცემის საგნად, გაფეტიშებულნი იყვნენ. სწორედ ამით უნდა აიხსნას ისეთი საკუთარი სახელების არსებობაც, რომელთა ნიმუშებიც გვარებმა შემოგვინახა(ვეფხვაძე, ვეფხვიაშვილი, მგელიაშვილი, მგელაძე, დავითაშვილი, კურდღელაშვილი, ტურაშვილი, ფოცხვერაშვილი, არჩვაძე, ირემაძე, ვეშაპიძე, გველუკაშვილი და მრავალი სხვა).

ლომიძის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში დღემდე შემორჩენილი წინაქრისტიანული ღვთაება მთიულეთში ლომიძის სალოცავი, რომელიც ქსნისა და არაგვის წყალგამყოფ ქედზე მდებარეობს. მეორე სოფელ მლეთასთანაა. ლომისობის რელიგიური დღესასწაული ყოველწლიურად იმართება აღდგომის მეშვიდე დღეს.

ბორჯომის რაიონის სოფელ ქვაბისხევის მიმდებარედ, მესხეთის ქედზე, მდებარეობს ლომის მთა(სიმაღლე 2187მ) თუ რატომ დაერქვა ამ მთას ეს სახელი, დღემდე უცნობია.

ცხოველთა მეფის, ლომის სახელწოდება ბევრ ევროპულ ენაში, ძველეგვიპტური “ლებუ”-გან მომდინარეობს, ასეთივეა ბერძნული-“ლეონ”, რომლის ქართული ფორმა ლევანია. შესაბამისად, გვარი ლევანიძე, ლათინურად ლეო, გერმანულად ლიოვე, რუსულად ლევ, ფრანგულად ლეონ, ინგლისურად ლიონ. ყველა ამ სახელების ქართული ფორმა ლევანია. იგი მამაკაცის საკუთარი სახელია, მაგრამ სახელი საქართველოს საეკლესიო კალენდარში არ გვხვდება. ეს სახელი რომ გავრცელებული ყოფილა, ამას მოწმობს ზემოთ აღნიშნული ლომთან დაკავშირებული გვარები.

რას მოგვითხრობს ისტორიული დოკუმენტები?

მოსკოვში არსებული “გვარების ისტორიის შემსწავლელი კვლევითი ცენტრის” მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებში, ხაზგასმითაა მითითებული: “ლომიძეების გვარის წარმომადგენლებს შეუძლიათ იამაყონ თავიანთი წინაპრებით, რომელთა მონაცემები შემონახულია სხვადასხვა ისტორიულ დოკუმენტებში, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ლომიძეები სერიოზულ კვალს ტოვებენ საქართველოს და რუსეთის ისტორიაში.

ლომიძეების გვარი წარმოიშვა სქართველოს დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში და შედის საქართველოს უძველეს გვართა სიაში, ამ გვარის წარმოშობის პროცესი იწყება XIII საუკუნეში. რა თქმა უნდა, თანამედროვე პირობებში, ამ გვარის წარმომადგენლები შესაძლოა ცხოვრობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშიც.”

ლომიძის გვარი მიეკუთვნება ძველი ქართული გვარების ტიპს, რომელიც წარმოშობილია გვარის ფუძემდებლის სახელიდან. ქართველმა ხალხმა ქრისტიანობა ჯერ კიდევ IV საუკუნეში მიიღო და ამ დროიდანვე ქრისტიანობა ქართლში სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამ დროიდანვე ,ბავშვებს ნათლობის დროს არქმევდნენ ქრისტიანულ სახელებს წმინდანების პატივსაცემად, რომლებიც მოიტანა ქრისტიანობამ, მაგრამ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ქართველი ხალხისთვის დამახასიათებელი იყო, ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალი ხალხის ტრადიციისთვის, თითოეულ ადამიანს ჰქონოდა ორი სახელი: ერთი ოფიციალური-საეკლესიო და მეორე საერო. მეორე სახელის არსებობა იყო ხარკი ძველი ორსახელიანობის ტრადიციისა, რომელიც დამახასიათებელი იყო მსოფლიოს ხალხების უმრავლესობისათვის და რომელიც ითხოვდა ძირითადი სახელის გადაფარვას. ბევრ არაეკლესიურ სახელს ქართული წარმოშობა ჰქონდა, ასე მაგალითად: კაცის უძველესი ქართული სახელია ლომი. სახელების პოპულარობა, რომელიც უძლეველობის და სიმამაცის სიმბოლოს წარმოადგენდა, ევროპისა და აზიის ყველა ხალხებს შორის დაკავშირებული იყო წარსულში გავრცელებულ წარმოდგენებთან იმის შესახებ, რომ სახელს შეეძლო ადამიანის ბედზე გავლენის მოხდენა.



ამაყი, ძველი სახელი “ლომი” ქართველ ხალხს შორის ძალიან პოპულარული იყო, ჩვენი წინაპრების აზრით, ასეთ სახელს შეეძლო “შთაებერა” ვაჟიშვილისათვის ლომის ძალა და სიმამაცე. ამასთანავე, სახელს ლომი შეეძლო შეეშინებინა ბნელი ძალები: ყოველი ბოროტი სული გაურბის ძლევამოსილ ლომთან შერკინებას, მათ ეშინიათ ცხოველის სახელის და ამ სახელის მატარებელ ბავშვს უფრთხიან და ერიდებიან. არც ისაა გამორიცხული, რომ სახელი “ლომი” გამოიყენებოდა როგორც შერქმეული სახელი. პირადი მეტსახელები ყველა ხალხში იყო გავრცელებული და ეს მეტსახელი ეძლეოდა კონკრეტულ ადამიანს რაიმე განსხვავებული თვისების გამორჩევის გამო. მაგალითად, სიმაღლის ან სისქის, ხასიათის, მიდრეკილების და ა. შ. უშიშარი ხასიათის, ძალისა და სიმამაცის გამო მოზრდილი ვაჟკაცისათვის შეეძლოთ შეერქმიათ ასეთი სახელი.

ასეთი სახელების უმრავლესობა შემდგომში ოფიციალური რელიგიის მიერაც იქნა მიღებული. ასე მაგალითად, სახელი “ლომის” ფუძე არის ძველქართული სახელი”ლომი”და იგი შევიდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდანთა სახელებს შორის. იგი წარმოშობილია ფუძედან “ლომ”ტრადიციული სუფიქსის ინის-მეშვეობით. ამ სახელიდან არის წარმოებული სხვა ფორმებიც: ლომი, ლომა, ლომია, ლომიკო, ლომკა და ა.შ.

გვარები ყოველ რეგიონში ადგილობრივი ტრადიციების მიხედვით წარმოიშობოდა. დასავლეთ საქართველოში გვარები ფორმულირდება პატრონიმული- ძე-სუფიქსით, რომელიც ძველად ნიშნავდა ვაჟს, შთამომავალს, ამიტომაც ადამიანთა შთამომავლებმა, რომლებიც, ატარებდნენ სახელს “ლომი”, მიიღეს საოჯახო მეტსახელი-ლომიძე. მოგვიანებით ამ სუფიქსებს იღებდნენ მხოლოდ გვარის დაბოლოების ნიშნად.

რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ, ქართული გვარები არ შეცვლილა, მათ შეინარჩუნეს ეროვნული ჟღერადობა.

საქართველოში ქრისტიანული რელიგიის მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე, შენარჩუნებული იქნა ქრისტიანული წეს-ჩვეულებები, რომლებიც ქართველთა სულიერი ცხოვრების საფუძველი გახდა. მიუხედავად ამისა, ზოგი-

ერთი ქრისტიანობამდელი ტრადიცია შენარჩუნდა და დღემდე მოაღწია.

ძველი წეს-ჩვეულებების და ტრადიციების სწორედ ასეთ შესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს ლომიძის გვარი, ასეთი წეს-ჩვეულება და ტრადიცია დამახასიათებელია როგორც ქართველებისათვის, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებისათვის.

შთამომავლებისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანია შეინარჩუნონ ხსოვნა საკუთარი გვარის წარმოშობის შესახებ-აღნიშნულია მოსკოვში არსებული "გვარების ისტორიის შემსწავლელი კვლევითი ცენტრის" მიერ გამოცემულ სიგელში. ჯერჯერობით, დღემდე მოკვლეულ ისტორიულ ალანებში 1569 წელს, ლომაძე სახელად რაბინი ნასყიდობის წიგნში მოწმედ არის ნახსენები.

1993 წელს გამოიცა "პირთა ანოტირებული ლექსიკონის" მეორე ტომი, რომელშიც ვრცლადაა წარმოდგენილი ქართულ გვართა ისტორიული წყაროები. ამავე ლექსიკონში წარმოდგენილია ლომიძეების გვარის ისტორიის ზოგადი მონაცემები.

ლომიძე-ლომისაძე

ლომიძე –ერთი კომლი მოხსენიებულია ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში (XVII დამდ).

ლომიძე მირა-კორთხას მცხოვრები, (სახლიკაცი) ცხადია, ლომიძისა.

ლომიძე გიორგი-ძმა ხახუტა ლომიძისა

ლომიძე გიორგი-კორთხას მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თორმეტი თეთრი, ერთი ურემი ღომი, ოთხი ნაოთხალი ღომი, ორი ნაოთხალი პური, ერთი ლიტრა სანთელი და სამი კვერცხი (1578წ).

ლომიძე გოგიჩა-ფერსათს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა:ორმოცდათხუთმეტი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ერთი ქათამი, ათი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ღომი, სამსახური (1578წ).

ლომიძე გოგლა-ფარსათის მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდახუთი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრი საკლავი, ქათამი, ორი თეთრი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ღომი, ერთი საბელი, ყოველდღე მუშაობა (1578წ).

ლომიძე დავითა-კორთის მცხოვრები,ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა:თორმეტი თეთრი, ერთი ურემი ღომი, ოთხი ნაოთხალი ღომი, ორი ნაოთხალი ღომი, ორი ნაოთხალი პური, ერთი ლიტრა სანთელი, ორი კვერცხი (1578წ).

ლომიძე ესტატე-მოწმე მარიამ დედოფლის მიერ სეხნია შუბითიძესთვის მიცემული მამულის წყალობის წიგნისა(XVII ს, I მეოთხ.).

ლომიძე მამინა-კორთხას მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა თორმეტი თეთრი, , ერთი ლიტრა სანთელი, ორი ნაოთხალი ქერი, ერთი პინა პური, ერთი ურემი ღომი, ორი კვერცხი (1578წ).

ლომიძე მამისთვალა-შუბანს მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თორმეტი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ოცი კვერცხი, ერთი ურემი ღომი, ოცდაოთხი ნაოთხალი ღომი, ერთი საბელი, ქათამი, თივის თიბვა, იფქლის და ქერის მუშაობა, ერთი თეთრის ღირებულების ყავრის მიტანა, საყდრის მუშაობა (1578წ).

ლომიძე მასურა-კორთხას მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თორმეტი თეთრი, ერთი ურემი ღომი, ოთხი ნაოთხალი ღომი, ორი ნაოთხალი ღომი, ორი ლიტრა სანთელი, ოთხი კვერცხი (1578წ).

ლომიძე ნატრია-შუბანს მცხოვრები. მისეულ მამულზე მცხოვრებს ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდაათი კოკა ღვინო, თორმეტი თეთრის საკლავი, ათი თეთრი, ათი კვერცხი, ერთი ურემი ღომი, საბელი და ქათამი, თიბვა, იფქლის და ქერის მუშაობა, ერთი თეთრის ღირებულების ყავრის მიტანა და საყდრის მუშაობა (1578წ).

ლომიძე რაიბან-მოწმე ავთანდილ მინიაშვილის მიერ ფილასონ ქერდევანიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1569წ).

ლომიძე ქრისტეშია-კორთხას მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თორმეტი თეთრი, ლიტრანახევარი სანთელი, ერთი ურემი ღომი, ორი ნაოთხალი ქერი, ერთი პინა პური, ორი კვერცხი (1578წ).

ლომიძე შაქარა-კორთხას მცხოვრები, ემართა ქუთაისის საყდრის ბეგარა: თორმეტი თეთრი, ერთი ლიტრა სანთელი, ერთი ურემი ღომი, ორი ნაოთხალი პური, ორი კვერცხი (1578წ).

ლომიძე ცხადია-კორთხას მცხოვრები,ჰყავს(სახლიკაცი) მირა. მასთან ერთად ქუთაისის საყდრის ბეგარა: ოცდაოთხი თეთრი, ორი ლიტრი სანთელი, ერთი ურემი ღომი, სამი ნაოთხალი ქერი, ერთი ნაოთხალი პური, ორი კვერცხი (1578წ).

ლომიძე ხახუტა-ჰყავს ძმა გიორგა. ალექსანდრე(იმერთა) მეფემ მას მისცა საიმედო წიგნი, იმის შესახებ, რომ დაიცავდა ბატონის მიერ წახდენის ან გაყიდვის საშიშროებისაგან. ამავე დროს, უბრძანა, რომ ბატონის სამსახური არ მოეშალა (639-1660წწ).

ძველთაგან ლიხთიმერთს ბუდობდა ლომიძეების რიცხვმრავალი გვარი. "რომელნიმე გლეხნი ყოფილან ლომიძენი და რომელნიმე აზნაურნი ტახტისა".

საიდან მოვიდნენ ლიხთიმერეთში ლომიძეები?

XV-XVI საუკუნეებში, საქართველოში, კერძოდ, სამცხე-საათაბაგოში შექმნილ უმძიმეს პოლიტიკურ, სოციალურ, დემოგრაფიულ ვითარებას თავს დაატყდა ოსმალეთის ურდოების შემოსევა, რომელმაც მიიტაცა ერთ დროს ქართველთა მჭიდროდ დასახლებული მხარე. მუსლიმანური სარწმუნოების შემოტევამ, ურჯულოთა წეს-ჩვეულებების იძულებით აღიარებამ,მძიმე საგადასახადო სისტემამ, დამპყრობელთა მიერ ქრისტიანული სარწმუნოების წინააღმდეგ უსასტიკესმა დევნამ, მკვიდრი მოსახლეობის აყრა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გადასახლებას დაუდო საფუძველი. სხვა გვარებთან ერთად, ლომიძეებიც მშვიდობიანი კუთხის ძებნაში იყვნენ.

ისტორიული დოუმენტებით და გვარში შემორჩენილი ზეპირსიტყვიერებით დგინდება, რომ ლომიძეების რამდენიმე შტომ ოსმალებისგან თავდაღწეულებმა დასავლეთ საქართველოში დასახლება გადაწყვიტეს. თავიდან გურიაში დასახლდნენ, შემდეგ იმერეთში გადავიდნენ (ამის არაერთი დოკუმენტი არსებობს).

ლომიძეების ერთი შტო ქუთაისთან ახლოს საყულიის ტერიტორიაზე დასახლებულა, მეორე შტო აჭარაში დღევანდელ ხულოს რაიონის სოფელ ბეღლეთში, საქართველოს ამ ისტორიულ მიწა-წყალზე დღესაც ცხოვრობენ მაჰმადიანი ლომიძეები, რომლებიც "ლომაღად" იწოდებიან, ხოლო გორის რაიონ სოფელ რიეთში კათოლიკე ლომიძეები სახლობენ (სხვათა შორის,დღევანდელ თურქეთში, საკმაოდ მრავალრიცხოვანია ლომიძეების შთამომავლები).

მესამე შტო, ხარაგაულის რაიონ სოფელ ხუნევში, ხოლო მეოთხე შტო, საჩხერის რაიონ სოფელ ლიჩში დასახლებულა(ლიჩელის გვარის წარმომადგენლები პოტენციური ლომიძეები არიან).

1578 წლის დავთრის მიხედვით, იმერეთში კორთხას, შუბანს და ფერსათის მოსახლე ლომიძეები ქუთაისის საყდარს ემსახურებოდნენ. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში იმერთა დედოფალი მარიამი, ერთ-ერთ წყალობის სიგელში მოწმედ იხსენიებს ესტატე ლომიძეს. 1639-1660 წლებში იმერთა მეფემ ალექსანდრემ "საიმედო წიგნი" უბოძა ხახუტა და გიორგი ლომიძეებს. იოანე ბატონიშვილი თავის წიგნში "აღწერა საქართველოს თავადაზნაურთა გვარებისა"-ში ლომიძეების შესახებ გვამცნობს, რომ როგორც აზნაურნი აღნიშნულნი არიან ქართლ-კახეთის და იმერეთის აზნაურთა სიაში(გვ 15) "არიან იმერეთს აზნაურნი, მათი სახლის კაცნი მოსულა ქართლსა შინა".

XVII საუკუნის დამდეგს, ლომიძეთა ერთი კომლი მოიხსენიება ზემო ქართლის კომლთა ნუსხაში, ქართლში იმერელი ლომიძეები უმთავრესად დავითაშვილთა, აბაზაძეთა და ავალიშვილთა მამულებში დამკვიდრებულან. რუსეთის იმპერატორული უდიდებულესობა, 1850 წლის 6 დეკემბერს, ამტკიცებს იმერეთის თავადაზნაურთა ოჯახების სიას, სადაც აღრიცხულია აზნაური ლომიძეების 950 ოჯახი. 1783 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, კახეთის თავადაზნაურთა შორის ხავერდოვან წიგნში, ლომიძეები ავალიშვილების აზნაურებად მოიხსენიებიან.

როგორც წერილობითი დოკუმენტიდან ირკვევა, ლომიძეები XVII საუკუნის ბოლოს, საქართველოს სხვადასხვა ადგილებში განსახლებულან ("ქართული სამართლის ძეგლები").

იმერეთში ლომიძეები ძირითადად იყვნენ აგიაშვილების, საწერეთლოს, საავალიშვილოს აზნაურები (ო.კილასონია, "ქართული ისტორიის ანალებში").

ლომიძეების გვარის განაყოფს შეადგენენ ვაშალომიძეები. ერთ-ერთი თქმულების თანახმად, ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის და გმირობისათვის მეფეს "ვაშა, ლომიძეო" დაუძახია. სწორედ იმ ლომიძეების გვარის წარმომადგენლებს ვაშალომიძეების გვარით გაუგრძელებიათ ცხოვრება.

ღმერთის, საქართველოს და ბარატიონთა ტახტის ძლიერებისათვის, ლომიძეთა გვარის მეომრები, გლეხნი კომლზე კაცად და აზნაურნი ქუდზე კაცად გამოდიოდნენ. ცალკერძ იმერეთის სამეფოს ლაშქრის მემარჯვენე სადროშოში და ცალკე ქართლის სამეფოს ლაშქრის მემარჯვენე სადროშოში, თავად წერეთელთა და ამილახვართა დროშების ქვეშ.

ლომიძეების გვარის ისტორია მდიდარია თავდადებულ და გმირ წინაპართა თქმულებებით და ლეგენდებით. ლომიძეთა გვარის სასახელოდ და საამაყოდ უნდა ითქვას ის თქმულებაც, რომ დიდგორის ისტორიულ ომში მეფეთ-მეფე დავით აღმაშენებელს ერთგულ მებრძოლთა შორის მდგარან ძმები ლომიძეები და გმირულად უბრძოლიათ.

ერთ-ერთი თქმულების თანახმად, საქართველოს ურიცხვი მტერი შემოსევია, მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ერთი ოჯახიდან ცხრა ძმა, ერთი-მეორეზე მამაცი ვაჟკაცები წასულან. ომი ქართველთა გამაჯვებით დამთავრებულა. სოფლის ორღობეში გამარჯვებულ მხედრებს ცხრა ძმის დედა შეგებებია, შვილების დაღუპვის ამბავი მოლაშქრეებისგან შეუტყვია:

-დედი, შენი შვილები ლომებივით იბრძოდნენ და გმირულად დაიხოცნენო.

დამწუხრებული და დადარდიანებული დედა ბრძოლის ველზე წასულა შვილების ცხედრების სანახავად. დედას შვილები უნახავს, ყველანი გამოუგლოვია, სადაც ცრემლი დაცემულა, იქ წყარო წარმოდენილა, ამბობენ, იმ მთას დღესაც ცხრაწყაროს ეძახიანო. ცხრა ძმის ნაშიერებს ხალხმა ლომის ძეები შეარქვეს და ლომიძეების გავრიც იქიდან მოდისო.

ძნელი დასადგენია, საიდან მოდის ეს სევდიანი შინაარსით სავსე თქმულება, მაგრამ ფაქტია, ამ თქმულებებში, სიმართლის რაციონალური მარცვალი ნამდვილადაა. ლომიძის გვარს არ დაანათლავდნენ მშიშარას, მცონარას, ზარმაცს, ავკაცს, ავყიას. იგი ცხოვრებაში ღონით, სიძლიერით, მამაცობით, შრომისმოყვარეობით გამორჩეული უნდა ყოფილიყო. სწორედაც ლომიძეების გვარი ავალდებულებდა გმირულად ბრძოლას. საამაყოა, რომ ლომიძეები ყოველდღიურ ცხოვრებაში ნამდვილად გამოირჩევიან დადებითი თვისებებით, , სამშობლოს, ოჯახის, შვილების დიდი სიყვარულით, დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებით, პატიოსნებით, სტუმართმასპინძლობით და სხვა კეთილი თვისებებით. ლომიძებს არ აქვთ მეორეხარისხოვან პიროვნებად ყოფნის უფლება, ისინი დღესაც გამორჩეულები უნდა იყვნენ სხვებისაგან, რადგან ასე დაგვიბარეს წინაპრებმა. თითოეულ ლომიძეს გულის ფიცარზე უნდა ეწეროს სწავლულ კაცთა შეგონება-გვარი კი არ უნდა გვალამაზებდეს, არამედ გვარს უნდა ვალამაზებდეთ.

საინტერესო პროექტის პრეზენტაცია

საქართველოს სასოფლო დარბაზმა, ევროპის ფონდისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით, დაიწყო პროექტის "სამოქალაქო მონიტორინგი მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებისათვის" განხორციელება.

პროექტის მიზანია, საქართველოს სასოფლო დარბაზისა და ადგილობრივი მედიასაშუალებების კოალიციური ძალისხმევით, საზოგადოების სამსჯავროზე გავიდეს და სოციალურ-ეკონომიკურ ჭრილში განსჯადი გახდეს მუნიციპალიტეტში მოქმედი არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობა. პროექტი სამ მუნიციპალიტეტში ხორციელდება-ხაშურში, ლანჩხუთსა და სენაკში.

1 ოქტომბერს, ადმინისტრაციულ სახლში შედგა ზემოაღნიშნული პროექტის პრეზენტაცია, რომელსაც მუნიციპალიტეტში მოქმედი ა(ა)იპ-ების, მერიის და საკრებულოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პრეზენტაციაზე, მონაწილეთა ერთობლივი გადაწყვეტილებით, შეირჩა ის სამი არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელთა უშუალო ჩართულობა მოხდება პროექტში. ესენია: საბავშვო ბაღების გაერთიანება, ხაშურსერვისი და სამუზეუმო გაერთიანება.

პროექტის საბოლოო მომხმარებლებს წარმოადგენენ ხაშურის მუნიციპალიტეტის 52 000-მცხოვრები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 31 000-მდე მცხოვრები და სენაკის მუნიციპალიტეტის 40 000-მდე მცხოვრები, როგორც მუნიციპალური სერვისების მომხმარებელი თემები (სულ მცირე 123 000 ადამიანი), ცოდნასა და უნარებს აიმაღლებს ა(ა)იპ-ების 60 წარმომადგენელი. მონიტორინგის შედეგებს გაეცნობა სამი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სულ მცირე 30%, პროცესში ჩაერთვებიან სამივე მუნიციპალიტეტის საკრებულოები და მერიის სამსახურები და რა თქმა უნდა, მუნიციპალური 9 ა(ა)იპ-ის შემადგენლობა.

მდინარე სურამულას კალაპოტის წმენდა დასრულდა

ხაშურის მონაკვეთზე დასრულდა მდინარე სურამულას კალაპოტის წმენდის სამუშაოები, რომელიც მთლიანად მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა. სამუშაოების ღირებულება 425 994 ლარს შეადგენდა. აღნიშნული მნიშვნელოვანია, სტიქიის პრევენციისა და ეკოლოგიის თვალსაზრისით.

დევნილთა 37 ოჯახს ბინები გადაეცათ

გორსა და ხაშურში, ახალაშენებულ კორპუსებში, 37 დევნილ ოჯახს ბინები გადაეცათ. ამიერიდან, ეს ოჯახები თანამედროვე სტანდარტების შესაბამის პირობებში იცხოვრებენ.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მიმდინარე წელს, ჯამში, ახალ საცხოვრებელს 2000-ზე მეტი იძულებით გადაადგილებული პირი მიიღებს. 2012 წლის შემდეგ კი, რაც მთავრობაში დღევანდელი ხელისუფლება მოვიდა, საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში, 21 655 ოჯახი განსახლდა. აღნიშნული სამთავრობო პროგრამა ისევ გრძელდება და უმოკლეს ვადებში, ახლადაშენებულ კორპუსებში, ყველა ის ოჯახი დაბინავდება, რომლებსაც დღემდე არ უსარგებლიათ ამ სიკეთით.

დაბა სურამში, მშვიდობის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება

ამ ეტაპზე, მიმდინარეობს ტროტუარების მოწყობა.

პროექტი გარდამავალია და ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოები 2021 წლის 1 მაისამდე უნდა დასრულდეს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და ჯამში 1296 939 ლარს შეადგენს.

მშვიდობის ქუჩა საკმაოდ მჭიდროდაა დასახლებული და სხვა ქუჩებთან დამაკავშირებელ გზას წარმოადგენს, შესაბამისად, განხორციელებული პროექტით 500-ზე მეტი ადგილობრივი მცხოვრები და სტუმარი ისარგებლებს, რაც მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მკვეთრად გააუმჯობესებს.

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ №21,22,23,24)

ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საყურადღებოა ის გარემოება, რომ დიდი გეოგრაფი და ისტორიკოსი იცნობს ხაშურს და თავის „აღწერაში” სათანადო ადგილს მიუჩენს მას. უფრო მეტიც, მას იგი დააქვს თავის შედგენილ რუკაზე, რაც, ცხადია, გარკვეულ ინტერესს იწვევს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სურამის წყლის ხეობის აღწერისას იოანე ბატონიშვილიც აფიქსირებს ქემერტს. როგორც ჩანს, აქაც უზუსტობას უნდა ჰქონდეს ადგილი. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ორივე ბატონიშვილი, ვახუშტიც და იოანეც, ქემერტს აფიქსირებენ დიდი ლიახვის ხეობაში, სადაც დღესაც არსებობს ამავე სახელწოდების სოფელი.

დღევანდელი ხაშურის რომელი უბანი უნდა ჩაითვალოს ძველ ხაშურად?

იოანე ბატონიშვილის “კალმასობის” მიხედვით, ეს უბანი უნდა იყოს დღევანდელი 9 აპრილის ქუჩის მიდამოები, სადაც მდებარეობს წმ. მარინესა და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიები და კოშკი.

„საშუალს სოფელი“

შედარებით მეტი ისტორიული დოკუმენტი მოგვეპოვება ხაშურის შესახებ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულებიდან. ერთ-ერთ დოკუმენტში , რომელიც XVIII საუკუნის დამლევით თარიღდება და წარმოადგენს სამგორის არხის მშენებლობის ნუსხას, სურამელ და ოსიაურელ მუშებთან ერთად მოხსენებულია ხაშურელი მუშაც. დოკუმენტში ვკითხულობთ:

“წფ/ოთხი მინალთუნი და ხუთი შაური/ქ. სურამელ ორ მუშას
ცსნ/ორი მინალთუნი და ხუთი შაური/ქ. ოსიაურელ მუშას
ცსნ/ორი მინალთუნი და ხუთი შაური/ქ. ხაშურელ მუშას”.

როგორც ვხედავთ, სამგორის არხის მშენებლობაზე მუშაობდნენ სურამელი, ოსიაურელი და ხაშურელი მუშები. ხაშურელ მუშას გასამრჯელოდ მიუღია “ორი მინალთუნი და ხუთი შაური”.

ამავე პერიოდის ერთ-ერთ დოკუმენტში, კერძოდ, კოდის პურის ნუსხაში კვლავ მოიხსენიება ხაშური, რომელსაც 6 კოდი პური უნდა გამოეღო. “ვ“ (6) ქ. ხაშურმა კოდი” – აღნიშნულია ნუსხაში.

1770 წლის მაისის თვით დათარიღებულ რუსებისათვის ფქვილის მიმყიდველი სოფლების სიის მიხედვით, ხაშურს ოცი ხარვარი ფქვილი უნდა მიეყიდა რუსებისათვის („ქ. ხაშურმა ფქვილი ხარვარი ოცი”).

ხაშური გვხვდება რუსულენოვან დოკუმენტებშიც. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც პოლკოვნიკ სტ. ბურნაშევის მიერ გენერალ გრ. პოტიომკინისათვის გაგზავნილ პატაკს წარმოადგენს, 1786 წლის 22 დეკემბერს, 100 ცხენოსანი ლეკი ახალციხიდან თავს დასხმია სოფელ ხაშურს. ლეკებს მთელი სოფელი აუწიოკებიათ და 14 კაცი გაუტაციათ. 1787 წლის 25 თებერვლით დათარიღებულ პატაკში კი აღნიშნულია, რომ სულეიმან ფაშამ ახალციხიდან გამოაგზავნა ხაშურში ლეკების მიერ დატყვევებული 15 კაცი.

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, ხაშურისთვის XVIII საუკუნის განმავლობაში უცხო არ უნდა ყოფილიყო ლეკების თავდასხმები. ამის დასტური უნდა იყოს აქ, ამავე საუკუნის, კოშკის არსებობაც.

იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაში”, რომელიც 1794-1799 წლებშია შექმნილი ჯერ ერეკლე მეფის, ხოლო შემდეგ გიორგი XII-ის სპეციალური დავალებით, სურამის წყლისა და მის ხეობაში არსებული სოფლების აღწერის დროს აფიქსირებს ხაშურს, როგორც მოსახლე სოფელს.

XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დამდეგის ხაშურის იერსახის შესახებ მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის კვლავ იოანე ბატონიშვილი თავის ენციკლოპედიურ თხზულებაში „კალმასობა”. თხზულებაში გარდა ხაშურისა, ცნობები გვხვდება ზემო ჭალისა და სურამის შესახებ. მკითხველის დაკვირვებულ თვალს კარგად შეუძლია „კალმასობის” მიხედვით ნათლად წარმოიდგინოს XVIIIს. მიწურულის ხაშურის იერსახე. მოვიყვანთ ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ადგილს „კალმასობიდან”.

„კალმასობის” მთავარი გმირი იოანე ხელაშვილი და ზურაბ ღამბარაშვილი მიდიან ზემო ჭალაში აბაშიძესთან. იოანესათვის აქ ცნობილი ხდება, რომ აბაშიძეს ტყვეები ჰყავს გამზადებული გასაყიდად. მათი ბედით შეწუხებულ იოანეს ლევან აბაშიძე ეუბნება: „იმ ტყვეებს ერთი დიაკვანიც ეჭირებათ და მეტადრე შენისთანა მოქადაგე, რომ არღა გათათრდებიან”.

იოანე ძალზე დააფიქრა ლევან აბაშიძის სიტყვებმა და შეშინებული ფიქრობდა: „ნუ–მე მეცა რიცხვთა შინა ტყვეთათა მითვალულ ვიქმნე”, ამიტომ იგი ეძებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად და “განიზრახა გაპარვა მუნით”. შუადამისას იოანემ შეკაზმა თავისი ცხენი, “...ამხედრდა მას ზედა და დაიწყო ჭალასა მას შინა სიარული, და არა უწყოდა-თუ, სად მივალს. და უკანასკნელ იძულებული განვიდა მინდვრის კერძოდ და მიმოიხედებოდა, ნუთუ მახლობელ მისა იხილოს დაბა რაიმე შესაყრდნობელად თავისა თავისა...”

განთიადისას, აბაშიძის სასახლეში გაიგეს იოანეს გაპარვის ამბავი. ლევან აბაშიძის მსახური და ზურაბ ღამბარაშვილი იოანეს გამოუდგნენ. იოანემ დაინახა მისკენ მომავალი ცხენოსნები. შეშინებულმა “...იხილა შორით კოშკი მაღალი ხაშურისა და მყის დაჰკრა ცხენსა მათრახი თვისი და ჭენებით წარემართა მუნ”.

იოანე ერთი გლეხის სახლში დაიმალა. როდესაც გაირკვა, რომ მდევრები იოანეს დასაჭერად არ იყვნენ მისულნი, იგი სახლიდან გამოვიდა გარეთ. “ოდეს იხილა საშუალს სოფელსა კოშკი და სახლნი იკითხა: ვინ ცხოვრობს აქა და ჰრქვეს: ხიდირბეგიშვილიო!”

იოანე მიდის მამუკა ხიდირბეგიშვილთან, მასთან სადილობს და საუბრობს. შემდეგ კი მიემგზავრება სურამს.

აქ მოტანილი ნაწყვეტიდან კარგად ჩანს, რომ XVIII საუკუნის დამლევს ხაშური საშუალო სოფელი ყოფილა. აქ დგას მაღალი კოშკი, რომელიც შორიდანვე იქცევს მნახველის ყურადღებას. მის შორიახლო განლაგებულია სახლები, მათ ირგვლივ კი გადაჭიმულია მინდორი, ტრიალი ველი, რომელიც გამოჰყოფდა ხაშურს მის მახლობლად მდებარე სოფლებიდან (ზემო ჭალა, შინდარა, გორათი).

ხაშური ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზაზე მდებარეობდა. ეს გზა მდინარე სურამულას მიუყვებოდა და მისით სარგებლობდნენ, როგორც ქართლიდან დასავლეთ საქართველოში გადასასვლელად, ასევე პირიქით. ამ გზის ერთი მონაკვეთი ასე წარმოგვიდგენია: - რუისი (ურბნისი) – დირბი-ქვენა ტკოცა- მოხისი – სომანეთი – ხიდისყური – სატივე – ოსიაური – ხაშური – სურამი – ფონა.

ხაშურზე უნდა გაევლო ახალციხისაკენ მიმავალ გზასაც.

„ხიდირბეგიშვილები“

ხაშური ხიდირბეგიშვილების მამული იყო. იგი სახიდირბეგიშვილოში შედიოდა. „კალმასობაში” მოხსენიებული მამუკა ხიდირბეგიშვილი სხვა წყაროებშიც დასტურდება. როგორც ჩანს, იგი ქართლის სამეფო კარისაგან საკმაოდ დაფასებული და წარჩინებული თავადია. ეს კარგად ჩანს გიორგი XII-ის მიერ 1799 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებიდან. ამ ბრძანების ძალით „...ამასთან /ე.ი. მამუკა ხიდირბეგიშვილთან-თ.ლ./ და ამის ყმასთან საქმე არავისა აქვს, არც ჩვენს ძმებსა და არც ჩვენს შვილებსა, ყველამ უნდა იცოდნენ. უჩვენოთ ვერც რას შეაწერენ და ვერც არასა სთხოვენ, რაც სათხოვარი იქნება, ჩვენ სახელდობრ შევაწერთ და გამოვართმევ, უჩვენოთ ამასთან და ამის ყმასთან საქმე არავის აქვს და ვერც არას შეაწერთ და ვერც არას გამოართმევთ, ყველამ ასე იცოდეს, რომ ეს სამეფო თავადი არის...”

იოანე ბატონიშვილი ხიდირბეგიშვილების ხაშურში მოსვლას 1630 წლით ათარიღებს. იგი თავის გენეალოგიურ შრომაში „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“ ხიდირბეგიშვილების შესახებ აღნიშნავს: „ესენი არიან გვარით ამილახვარისა გვარისანი... ხიდირბეგის შვილობა მიიღეს ამით, რომელ გათათრდა ამათი წინა-პარი ახალციხეს დროსა დაპყრობისა თურქთაგან, და უწოდეს სახელად ხიდირბეგ და ამის გამო მიიღეს მისთა შთამომავლობათა ხიდირბეგის შვილობა. ხოლო ამა ხიდირბეგის შვილნი მოვიდნენ ქართლსა შინა სურამის ხეობის ადგილს ხაშურსა შინა და მუნ მიუბოძა მეფემან ადგილი იგი წელსა 1630-სა. და ნათელ იღეს ამათ და იწოდენ გვარად ხიდირბეგის შვილებად, და არიან ზოგნი ამათნი გვარნი დაშთომილნი ახალციხეს ხიდირბეგის შვილებად, თათრებად და სხვანი ქართლში მამუკას შვილებად და სხვანი კვალად ხიდირბეგის შვილებადვე”.

იოანე ბატონიშვილის მიერ ხიდირბეგიშვილების წარმომავლობის შესახებ ზემოთაღნიშნულ ისტორიულ ტრადიციას იმეორებს და ადასტურებს ე.წ. “ზედგენისძის საჩივრის წიგნი”, რომლის მიხედვითაც ზედგენისძენი, “...რომელნიც დაშთენ მესხეთ, იგინი თუმცა ამილახვარად არ იხსენიებიან გუარით, გარნა არიან თავადნი, იმერეთს მესხებად წოდებულნი და აზნაურებად. ეს სახედვე ახალციხესა შინა არიან ამილახვრის გვარისანი და ხიდირბეგისა შვილებნიცა თაავდნი ამილახვრიანნი”.

ამრიგად, ისტორიული ტრადიციის მიხედვით, ხიდირბეგიშვილები ზედგენიძეთა /შემდგომში ამილახვართა/ გვარიდან გამოდიან. ზედგენიძეთა ერთი ნაწილი ახალციხის მხარეში ოსმალთა გაბატონების შემდეგ გათათრდენ. ზედგენიძეთა სწორედ ეს ნაწილი მოიხსენიებიან ხიდირბეგიშვილებად, რადგან იმავე ტრადიციის მიხედვით ზედგენიძეთა გვარის იმ წარმომადგენელს, რომელიც გათათრდა, სახელად ხიდირბეგი უწოდეს, რომლის სახელიდანაც შემდგომ წამოვიდა ხიდირბეგიშვილების გვარი.

XVII-XVIII საუკუნეების არაერთ საბუთში დაფიქსირებულია ეს მომენტი. ასე მაგალითად:

1698 წლის სამამულო დავის გადაწყვეტის წიგნში მურვანიშვილებთან ერთად გვხვდება ამილახორიშვილიები.

1719 წელს, ზურაბ ხერხეულიძის მიერ ვახუშტი აბაშიძისათვის შინდარასა და ბეკამში მიცემული ყმების ნასყიდობის წიგნს ემოწმება მესხი ამოლახვრიშვილი მამუკა.

1729 წელს „ხიდირბეგიშვილმა ამილახვარმა მაუკამ” „სურამის ბოლოს” ღანიშვილის მამული მისცა ადამ მამაცაშვილს.

1737 წელს, თამაზ ხარატიშვილის მიერ ვახუშტი აბაშიძისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნს ემოწმება ამირახორიშვილი ხიდირბეგი.

1753 წლის მარტის დამდეგს, „ამილახვრის ხიდირბეგიშვილმა გიორგიმ” ნასყიდობის სიგელი მისცა მარიამ ამილახვრის ქალს.

XVIII ს-ის აბაზაძეების რამდენიმე საბუთს ემოწმება ციხისთავი ამილახორი ხიდირბეგი. ამილახორიშვილი ხიდირბეგი.

იოანე ბატონიშვილის თანახმად, ხიდირბეგიშვილები ქართლში, კერძოდ, ხაშურში, XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ჩანან. რომ, მართლაც, ამ პერიოდიდან უნდა იყვნენ მოსულები ხაშურში ხიდირბეგიშვილები, ამაზე მიგვანიშნებს ორი მომენტი. ერთი ის, რომ თეიმურაზ I-ის სახელთან დაკავშირებულ “სასარდლო წიგნში”, რომელიც როგორც ჩანს, მისი ქართლში მეფობის პერიოდში უნდა იყოს შედგენილი, ამილახორის სადროშოში ხიდირბეგიშვილები არ მოიხსენიებიან. “სასარდლო წიგნში” აღნიშნულია: “არის ბატონის ამილახორის დროშაზედ: ბატონიშვილი გიორგი, ერთობილნი ზევდგინიანი, ფავნელიანი, მაჩაბლიანი, თუმანიანი, ბატონი მროველი, ავალიშვილი ქაიხოსრო, ბატონი ურბნელი, ხერხაულიანი, ფალავანდიანი, ბატონი მთავარეფისკოპოზი, რაც გორს ზედათ აწ სადედოფლო არის, აწ სუეტიცხოველისა და იერუსალიმისა ერთობილნი, ამირეჯიბიანი, თვალდამწვარიანი, დიასამიძე ელიზბარ, როსტომ ქავთარაძე, ტატიანი და წერეთლის მამული, აბაშიძის მამულები, იტრიის წინამძღვარი, აბაზაძე, დამღაწაშვილი, ავალიშვილი გულბათ, ფაფინა იაღუზიშვილი”.

ამრიგად, როცა ეს დოკუმენტი იწერებოდა, ხიდირბეგიშვილები ჯერ კიდევ არ არიან გადმოსულები ქართლში. ეს მაშინ, როდესაც თითქმის ყველა ის ცნობილი გვარი, რომლებიც ზემო ქართლის ამ რეგიონში /სურამი-ხაშური/ გვხვდება, თითქმის ყველაა დასახელებული დოკუმენტში /აბაშიძე, აბაზაძე და სხვა/. როგორც ჩანს, ხიდირბეგიშვილების ამილახორების სადროშოზე “მიწერა” შემდგომ ხდება, რაც დასტურდება სწორედ მომდევნო პერიოდის დოკუმენტებიდან.

ალექსანდრე ამილახვარი “გეორგიანულ ისტორიაში” აღნიშნავს, რომ “ზემო ქართლი შეადგენს სამფლობელოს ამილახვრებისა და თავადთა გვარებისა. სახელდობრ: 1. აბაშიძეებისა, 2. ფალავანდიშვილებისა, 3. ხერხეულიძეებისა, 4. დავითიშვილებისა, 5. ამირეჯიბებისა, 6. ავალიშვილებისა, **7. ხიდირბეგიშვილებისა**, 8. ჩხეიძეებისა, 9. დიასამიძეებისა, 10. სიამარდიშვილებისა, 11. თაქთაქიშვილებისა, 12. შალიკაშვილებისა, 13. მაჩაბლებისა”.

ხიდირბეგიშვილებს იცნობს ი. ა. გულდენშტედტიც, რომელიც ქართლის თავადთა გვარების ჩამოთვლის დროს მოიხსენიებს მას.

XVII საუკუნეში, განსაკუთრებით კი XVIII საუკუნეში, ისტორიულ დოკუმენტებში ხშირად მოიხსენიებიან ხიდირბეშვილები. დასტურდება ხიდირბეგიშვილების სათავადოც, ე.წ. “სახიდირბეგიშვილო”. ხიდირბეგიშვილებს მამულები გააჩნიათ ძირითადად ხაშურისა და სურამის შემოგარენში, აგრეთვე დღევანდელი ხაშურის რაიონის ზოგიერთ სოფელშიც.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გვირგვინით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართულ ბრძოლებში დაღუპულ გმირთა მემორიალი

სოხუმის დაცემის 27 წლისთავთან დაკავშირებით და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივის მიგების მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ ზვიად ქურდაძემ, მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ და მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელმა მიხეილ ბარბაქაძემ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გამართულ ბრძოლებში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

აფხაზეთში სამხედრო დაპირისპირება 13 თვეს და 13 დღეს გაგრძელდა, რაც 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით დასრულდა.

სურამში, ჭონქაძის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა

პროექტის ფარგლებში, დაიგო ასფალტის ორი ფენა, მოეწყო სანიაღვრე არხები, დაიხაზა საგზაო მონიშვნები.

ჭონქაძის ქუჩის მოწყობის სამუშაოები 596 371 ლარს შეადგენს და ადგილობრივი ბიუჯეტისა და ცენტრალური მთავრობის თანადაფინანსებით ხორციელდება.

ჭონქაძის ქუჩა მჭიდროდაა დასახლებული, შესაბამისად, განხორციელებული პროექტი 400-ზე მეტ ადგილობრივსა თუ დამსვენებელს გაუუმჯობესებს საყოფაცხოვრებო პირობებს.

დაბა სურამში, ჭონქაძის ქუჩის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებასაც.

- ფეხბურთი -

«დურუს თასი - 2020» დასრულდა

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს „გომი“ და „გალაქტიკო“ დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ხაშურის „გალაქტიკომ“ ანგარიშით 9:2 მოიგო და „დურუს“ გარდამავალ თასს დაეუფლა.

მესამე ადგილისთვის მატჩი „ოლდ სტარსა“ და „კლასტერს“ შორის გაიმართა და „ოლდ სტარის“ გამარჯვებით (5:2) დასრულდა.

გამარჯვებულებს პრიზები და შესაბამისი სინჯის მედლები გადასცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა და ვეტერანმა სპორტსმენებმა.

დაჯილდოვდა ტურნირის საუკეთესო მეკარე თემურ ცაცანაშვილი („გალაქტიკო“), რომელსაც პრიზი საქართველოს ნაკრების ვეტერანმა მეკარემ ირაკლი ზოიძემ გადასცა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი კი „გალაქტიკოს“ ფეხბურთელმა გოგა ლურსმანაშვილმა საქართველოს ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელის - მამუკა მაჭავარიანისგან მიიღო.

დურუს გარდამავალი თასი „გალაქტიკოს“ ფეხბურთელებს თენგიზ გოჩიაშვილმა - გარდაცვლილი ახალგაზრდის - დავით გოჩიაშვილის (დურუ) მამამ გადასცა,.

პირველკურსელთა საყურადღებოდ!

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გეგმავს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები იმ სტუდენტების დაჯილდოებას, რომლებმაც 2020 წელს წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიიღეს 100%-იანი გრანტი (არ იგულისხმება უფასო ფაკულტეტები და ჩაბარების შემდგომ მოპოვებული შიდა გრანტი).

აღნიშნული კატეგორიის პირებს გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:

პირადობის მოწმობის ასლი;

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა 100%იანი სახელმწიფო გრანტის მოპოვების შესახებ;

საბანკო რეკვიზიტები.

დოკუმენტები მიიღება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურში.

საკონტაქტო პირი: ბესიკ გაჩეჩილაძე
საკონტაქტო ნომერი: 591057369; (0368) 24-24-56

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების საყურადღებოდ!

„საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ და ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილების (2012 წლის 15 აგვისტო) შესაბამისად, 26 ოქტომბრის ჩათვლით, წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის, გაზეთში „ხაშურის მოამბე“ გამოყოფილია ფართობი. კერძოდ: ფასიანი რეკლამისათვის გამოყოფილია გაზეთის მე-4 გვერდი (988სმ²), უფასო რეკლამისათვის კი გაზეთის მე-5 გვერდის ნახევარი (494სმ²).

ფასიანი რეკლამის შემთხვევაში, ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულება შეადგენს 15 თეთრს (ერთი გვერდი – 148 ლარი).

A3 და A4 ფორმატის ჩანართის შემთხვევაში (თუ ჩანართი გამზადებული სახით მოაქვს დამკვეთს და რედაქცია მხოლოდ ქსელში გავრცელების ვალდებულებას კისრულობს) კვადრატული სანტიმეტრის ფასია 10 თეთრი, ანუ A3 ფორმატის შემთხვევაში – 98 ლარი და 80 თეთრი, A4 ფორმატის შემთხვევაში – 49 ლარი და 40 თეთრი.

რედაქცია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.